

# მიხეიდ ჩხენკერი: "პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები დავძრიეთ და ეს სემესტრი შედგა"



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მიხეიდ ჩხენკერმა საერთაშორისო პოლიტიკის ონლაინ სადისკუსიო პანელში სიტყვით მიმართა:

*„დიდ მადლობას მოვახსენებ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა (ISET) და ISET-ის კვლევით ინსტიტუტს საინტერესო სადისკუსიო პანელის ორგანიზებისათვის. ვფიქრობ, იგი სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნება ყველა მონაწილე მხარისათვის. COVID-19-ის პანდემიამ მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, განათლების კუთხით. შექმნილ ვითარებაში, როდესაც მოსწავდეები და სტუდენტები საკვასო ოთახსა და აუდიტორიის მიღმა დარჩნენ, ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი იყო მათთვის განათლების მიღების უწყვეტი პროცესი შეგვინარჩუნებინა. მასწავლებლების, დექტორების, სამინისტროს, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობრივი ძაღისხმევით დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები დავძრიეთ და ეს სემესტრი შედგა“, – განაცხადა ჩხენკერმა.*

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველოს წარმატებას

დისტანციური სწავლების დანერგვის საქმეში საერთაშორისო გამოხმაურებაც მოწმობს. კერძოდ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) 2020 წლის ანგარიშში, რომელიც COVID-19-ის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძრევად გამოაქვეყნა, 98 ქვეყანას შორის საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა.

Microsoft-ის მიერ ორგანიზებულ ვირტუალური განათლების ტრანსფორმაციის პირველ სამიტზე, რომელშიც მინისტრმა მიხეილ ჩხენკერმა მიიღო მონაწილეობა, OECD-ის განათლების დირექტორატის ხელმძღვანელმა ანდრეას შრაიხერმა, COVID-19-ის კრიზისის პირობებში განათლების სისტემის ადაპტაციისა და დისტანციური სწავლების წარმატებით დანერგვის თვალსაზრისით საქართველო და ფინეთი რიდერ ქვეყნებად დაასახელა.

ასევე, სამინისტროს მიერ დისტანციური სწავლების ხერხეწყოების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს მაღალი შეაფასება მისცა Microsoft-ის განათლების მიმართულების ვიცეპრეზიდენტმა ენტონი სარსიტომ. მინისტრმა ხაზი გაუსვა მასწავლებლებისა და უმაღლესის სასწავლებლების რექტორების ენთუზიაზმსა და შემოქმედებით მიდგომას დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში და მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

მიხეილ ჩხენკერის შეფასებით, პანდემიის პირობებში პედაგოგები, ექიმების მსგავსად, ბრძოლის წინა ხაზზე აღმოჩნდნენ და ახალ გამოწვევებს წარმატებით გაართვეს თავი.